სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მიმართვა

მოგესალმებით, ყოველწლიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება იმის შესახებ, თუ საიდან უნდა შეივსოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და როგორ დაიხარჯოს იგი.

ეს სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ახსნას, თუ როგორ მოხდება ფულის შეგროვება და დახარჯვა 2025 წელს. იგი დაწერილია მარტივი ენით, რათა ის გასაგები და გამოყენებული იყოს ფართო საზოგადოების მიერ. ეს საშუალებას მისცემს მოქალაქეებს გაეცნონ საბიუჯეტო პროცესს და სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღონ მასში.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა

სამტრედია იმერეთში მდებარე მუნიციპალიტეტია. ეს ადგილი მოხსენიებულია ძველ ისტორიულ წყაროებშიც XVIII საუკუნის II ნახევრიდან, როგორც სოფელი სამტრედია. 1872 წლიდან კი, მას შემდეგ რაც ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზი ამოქმედდა, იგი უკვე დაბა სამტრედიის სახელით იხსენიება. ოდესღაც რაიონის ჭალა ჭაობიან ტყეს წარმოადგენდა, ჰავა იმდენად ცუდი იყო, რომ ამ ადგილებში დასახლებას ყველა ერიდებოდა. რკინიგზის მშენებლობამ კი ხელი შეუწყო სამტრედიის განვითარებას, ჭაობები დააშრეს, ტყე გამინდვრეს და ჰავა გაუმჯობესდა. მისი დაბა-ქალაქად გარდაქმნა 1899 წელს დასრულდა, როცა განსაკუთრებით გაიზარდა მრეწველობა.

რაიონის ტერიტორია ადრე კოლხეთის, ეგრისის, ხოლო შემდეგ ეგრის-აფხაზეთის სამეფოსა და საქართველოს გაერთიანებულ სახელმწიფოში ერთიანდებოდა. სამტრედია ლამაზი რაიონია, სადაც მრავალ საინტერესო კულტურულ ძეგლს ვხვდებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია: ვაზისუბნის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ტელეფისის XI-XII საუკუნეების ციხის ნანგრევები, გამოჩინებულის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, ჯიქთუბნის ეკლესია და ა.შ. მუნიციპალიტეტში არის ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, სამხატვრო სკოლა-გალერეა და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი. მუნიციპალიტეტს აქვს ადგილობრივი გაზეთი - „სამტრედიის მაცნე“.

მდებარეობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება სამეგრელოს და გურიის მხარეებს, კერძოდ: აბაშის, ლანჩხუთის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს. მისი ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი, სადაც ძირითადად მთიანი სოფლებია განლაგებული. სამტრედიის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 15 ადმინისტრაციულ ერთეულად. მუნიციპალიტეტში 56 დასახლებაა, მათ შორის ერთი ქალაქი, ერთი დაბა და 49 სოფელი, საიდანაც 27 მაღალმთიანი სოფელია. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სამტრედია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სარკინიგზო და საავტომობილო კვანძს. მუნიციპალიტეტზე გადის საავტომობილო მაგისტრალები ს1 და ს2 , საქართველოს ცენტრალური რკინიგზის 31 კილომეტრიანი მონაკვეთი. სამტრედიიდან 11 კილომეტრში მდებარეობს დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

ფართობი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ფართობი 364.29 კვ.კმ-ია, რაც მთლიანი ქვეყნის ფართობის 0,52%-ია, ხოლო იმერეთის რეგიონის 5,7%-ს შეადგენს. მოსახლეობის სიმჭიდროვე სამტრედიის მუნიციპალიტეტში 1 კვ. კმ-ზე – 133.4 კაცს შეადგენს.

გეოგრაფია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთავარი მდინარეა რიონი, რომელიც მას ორ თითქმის თანაბარ ნაწილად ჰყოფს. სამტრედიის მუნიციპალიტეტი ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაშია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14°C-ია. იანვრის საშუალო ტემპერატურა +5°C-ია, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, ივლისისა კი - +25°C.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო, შედგება 33 წევრისგან. მათგან 15 არჩეულია პროპორციული, ხოლო 18 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს პირველი მოადგილე და ორი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია და 2 ფრაქცია. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მეშვეობით.



მოსახლეობა

2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 48.6 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც იმერეთის მოსახლეობის 9.1%-ს და საქართველოს მოსახლეობის 1.3% შეადგენს. აქედან, საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 55.6%, ხოლო სასოფლო დასახლებაში ცხოვრობს 44.4%. 2002 წლის აღწერასთან შედარებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობა 19,6%-ით არის შემცირებული. იგივე პერიოდში იმერეთში მოსახლეობა 23.3%-ით შემცირდა.



თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პრიორიტეტების დოკუმენტი - არის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ ინფომაციას.

რა არის ბიუჯეტი?

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს, რომელიც ივსება და იხარჯება ყოველდღიურად.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ყველა დონის ბიუჯეტის შევსების წყარო არის მოსახლეობა, ანუ ჩვენ მიერ გადახდილი გადასახდებით ივსება ბიუჯეტი.

საბიუჯეტო პროცესი

საქართველოში საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები დარეგულირებულია საბიუჯეტო კოდექსით, ხოლო შიდა საბიუჯეტო კალენდარს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

2025 წელი

• მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი

1 მარტი

- მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ -სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები
- სამართლებრივი აქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტსა და საშუალოვადიანი გეგმების შემუშავებაზე

15 მარტი

- სამუშაო ჯგუფი წარმოადგენს მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს, რომლის მიზანია შემდეგი ინფორმაციის მიღება: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.

1 ივნისი

- სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასადგენად და/ან უკვე განსაზღვრული პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მრავალწლიანი ან საშუალოვადიანი გეგმის დოკუმენტის, სიტუაციის ანალიზისა და/ან მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე (არჩევით).

1 ივნისი -1 აგვისტო

- სამუშაო ჯგუფი არჩეული პრიორიტეტის ფარგლებში (შესაძლებელია პრიორიტეტი არ დაკონკრეტდეს) აცხადებს მოქალაქეებიდან ახალი ინიციატივების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვე-პროგრამებთან/ღონისძიებებთან დაკავშირებით, პროცესის მეთოდოლოგიისა (აქ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სამოქალაქო ბიუჯეტირება) და ვადების მითითებით

5 აგვისტო

- საფინასო სამსახური სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადადებას ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.

5-25 ოქტომბერი

- საფინანსო სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, განმარტებით ბარათს თანდართული მასალებით და პრიორიტეტების დოკუმენტს და განსახილველად წარუდგენს სამუშაო ჯგუფს

15 ნოემბრამდე

- თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო (მერი) მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად წარუდგენს საკრებულოს.

31 დეკემბერი

- საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპები:



მუნიციპალური ორგანოების როლი საბიუჯეტო პროცესში გამიჯნულია კანონმდებლობით. ეს კანონებია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საბიუჯეტო კოდექსი.





საიდან მოდის ფული ბიუჯეტში?

კანონმდებლობა არეგულირებს იმ გადასახდელების ჩამონათვალს, რომლითაც ივსება ბიუჯეტი. გადასახადებს ბიუჯეტში იხდიან მოქალაქეები და ბიზნესი. ეს გადახდილი თანხები საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ნაწილდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში ირიცხება შემდეგი სახის შემოსავლები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) 19%, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დასუფთავების მოსაკრებელი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსული თანხები, სხვა ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები, ასევე ქონების გაყიდვიდან შემოსული სახსრები. ცენტრალური ხელისუფლება კაპიტალური პროექტებისთვის და დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს უნაწილებს გარკვეულ თანხებს, რასაც ეწოდება გრანტები. ასეთი გრანტები მუნიციპალიტეტში ძირითადად წლის განმავლობაში ირიცხება და შესაბამისად მუნიციპალიტეტი აზუსტებს თავდაპირველ ბიუჯეტს. როდესაც ხარჯები შემოსავალზე მეტია, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს აიღოს სესხი. ამ კუთხით მუნიციპალიტეტს ძირითადად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეხმარება.

ზემოთ აღნიშნული თანხების ბიუჯეტში მობილიზებაზე პასუხისმგებელია როგორც ცენტრალური ხელისუფლება ასევე ადგილობრივი - მუნიციპალიტეტის ხელისუფლება. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლება (შემოსავლების სამსახური) უწევს ადმინისტრირებას შემდეგი სახის შემოსავლებს: დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ) 19%, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი. ადგილობრივი ხელისუფლება - დასუფთავების მოსაკრებელს, იჯარით გაცემული ქონებიდან მისარებ თანხებს და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებს და გადასახდელებს, ასევე ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას თანხების მობილიზებაზე.

ცენტრალურ ხელისუფლება პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალიტეტისთვის გრანტის სახით თანხების გამოყოფაზე. ასეთი თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ძირითადად ხმარდება კაპიტალური პროექტების დაფინანსებას, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლის შემოსავლები

2023 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მობილიზებული იქნა 35 642 000 (ოცდათხუთმეტი მილიონ ექვსას ორმოცდაორი ათასი) ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2023 წლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა (ათას ლარებში)		
შემოსავლის დასახელება	**2023 წელი**	
	თანხა	**პროცენტი**
მიწის გადასახადი	1,349.4	3.8%
ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	1,645.6	4.6%
დღგ	17,529.3	49.2%
გრანტები	11,051.7	31.0%
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	305.3	0.9%
ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი	202.1	0.5%
იჯარიდან შემოსავალი	95.9	0.3%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	3,462.7	9.7%
სულ შემოსულობები	**35,642.0**	**100.0%**



2024 წლისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლები დაგეგმილია 41 417 300 (ორმოცდაერთი მილიონ ოთხას ჩვიდმეტი ათას სამასი) ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2024 წლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა (ათას ლარებში)		
შემოსავლის დასახელება	**2024 წელი**	
	თანხა	**პროცენტი**
მიწის გადასახადი	1,070.0	2.6%
ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	2,800.0	6.8%
დღგ	19,237.1	46.4%
გრანტები	14,505.4	35.0%
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	418.3	1.0%
ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი	210.0	0.5%
იჯარიდან შემოსავალი	66.5	0.2%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	3,110.0	7.5%
სულ შემოსულობები	**41,417.3**	**100%**



2025 წლისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლები დაგეგმილია 28 185 300 (ოცდარვა მილიონ ას ოთხმოცდახუთი ათას სამასი) ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2025 წლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა (ათას ლარებში)		
შემოსავლის დასახელება	**2025 წელი**	
	თანხა	**პროცენტი**
მიწის გადასახადი	1,070.0	3.8%
ქონების გადასახადი (გარდა მიწისა)	2,030.0	7.2%
დღგ	22,519.4	79.9%
გრანტები	269.5	1.0%
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	179.3	0.6%
ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი	180.0	0.6%
იჯარიდან შემოსავალი	120.7	0.4%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	1,816.4	6.5%
სულ შემოსულობები	**28,185.3**	**100%**



2023-2025 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლების დინამიკა დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში შემდეგია:



სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ გრანტებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეს თანხები გამოიყოფა წლის განმავლობაში და ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ დაზუსტდება 2025 წლის მაჩვენებელი.

როგორ იხარჯება ფული?

მთავრობის მიერ შეგროვებული თანხა იხარჯება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჭიროებისამებრ. ეს თანხა პირობითად იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები მოიცავს საჯარო მოხელეების ხელფასებს, კომუნალურ გადასახდებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და მოვლა შენახვის ხარჯებს და სხვა. ხოლო კაპიტალური ხარჯები გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების, სკვერების და სხვა მუნიციპალური ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და შეკეთების ხარჯებს. ასევე, ბიუჯეტში განსაზღვრულია ნაკისრი ვალდებულებების (სესხის) დაფარვის ხარჯები. ხარჯების მიმართულებებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს თანხების ხარჯვა ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხმათა უმრავლესობით. ბიუჯეტის აღსრულება კი ხდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის მიერ.



აღნიშნული სახსრები ბიუჯეტის მიხედვით განაწილებულია შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- დასუფთავება და გარემოს დაცვა
- განათლება
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

2025 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

(ათას ლარებში)

პრიორიტეტების დასახელება	თანხა	პროცენტი
ინფრასტუქტურა	4,512.5	16.01%
დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,484.6	12.36%
განათლება	5,030.0	17.85%
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,911.8	17.43%
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,927.1	13.93%
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,319.3	22.42%
სულ ჯამი	**28,185.3**	**100.00%**



სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიოროტეტები 2023-2025 წლების მიხედვით შემდეგია:



კაპიტალური ბიუჯეტი

როგორც აღვნიშნეთ ბიუჯეტის გადასახდელები იყოფა მიმდინარე და კაპიტალური დანიშნულების ხარჯებად. კაპიტალური ხარჯები წარმოადგენს ისეთ ხარჯს რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საინვესტიციო ხასიათის პროგრამები, მაგალითად გზების, ხიდების, შენობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, შეკეთება და სხვა.

2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიმდინარე ხარჯებისათვის გამოყოფილია 24,974.1 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალურ ხარჯებისათვის 3,141.1 ათასი ლარი. მათ შორის თანაფარდობა ასეთია:



მაგრამ აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალურ დანახარჯებს წლის განმავლობაში დაემატება ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები.

ინფრასტრუქტურის განვითარება

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 16.01% გამოყოფილია ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 4,512.5 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



2025 წლის ბიუჯეტის პროექტით, ინფრასტუქტურის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტის პროგრამები**	**4,512.5**
02 01	გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება	1,565.0
02 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2,576.0
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	217.0
02 05	სოფლის მეურნეობის განვითარება	154.5

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 12.36% გამოყოფილია მუნიციპალიტეტის დასუფთავებისთვის, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 3,484.6 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**3,484.6**
03 01	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება	2,570.0
03 02	ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება	814.6
03 03	დასუფთავება	100.0

განათლება

2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 17.85% გამოყოფილია განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 5,030.0 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



(ათას ლარებში)

04 00	**განათლება**	**5,030.0**
04 01	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება	4,480.0
04 03	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი	330.0
04 04	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (ბაღები და ბაგა-ბაღები) მშენებლობა	220.0

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 17.43% გამოყოფილია კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 4,911.8 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**4,911.8**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,639.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,461.5
05 03	შპს „სამტრედიის მაცნე“	117.8
05 04	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი	65.5
05 05	ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის,ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება,	218.0
05 06	ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება	260.0
05 07	კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია	150.0

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 13.93% გამოყოფილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ

გამოხატულებაში 3,927.1 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**3,927.1**
06 01 01	ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი	269.5
06 01 02	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის მშენებლობა-რეაბილიტაცია	366.0
06 02 01	ააიპ „სახლი თანადგომა“	361.0
06 02 02	ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“	240.0
06 02 03	დედათა და ბავშვთა დახმარება	440.0

06 02 04	სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარებები	1,754.6
06 02 05	დაკრძალვის ხარჯი	6.0
06 02 07	სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის დახმარება	490.0

მმართველობა და საერთო დანიშნულება

2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 22.42% გამოყოფილია მმართველობა და საერთო დანიშნულების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 6,319.3 ათას ლარს შეადგენს. 2023-2025 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მმართველობა და საერთო დანიშნულების პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**6,219.3**

01 01 01	სამტრედიის საკრებულო	1,336.6
01 01 02	სამტრედიის მერია	4,636.6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	100.0
01 02 03	მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურეობა	101.1
01 02 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	45.0

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის დაფინანსებას. მათ შორის მერიასა და საკრებულოში დასაქმებულია 174 მუშაკი, მათ შორის მერიაში 141 მუშაკი, ხოლო საკრებულოში - 33 მუშაკი .

რას ნიშნავს ჩემთვის 2025 წლის ბიუჯეტი?





განხორციელდება შიდა გზების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთება, მათ შორის გზების (ორმული) და ფრაგმენტული შეკეთება, გზების ქვიშა - ხრეშოვანი მასალის მოწყობა, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება, გზებზე ასფალტ/ ბეტონის დაზიანებული მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება.



პროგრამის ფარგლებში, განახლდება ქ. სამტრედიაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადები, სადარბაზოები, სახურავები და მიმდებარე ტერიტორია.



მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაში მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება, ასევე, განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მოწყობა-მომსახურება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (მაღალმთიან ზონაში) არსებული წყლის სისტემები მოითხოვს რეაბილიტაციას და ასევე უნდა მოეწყოს ახლი სისტემები. სასმელი წყლის რეზერვუარები გამოსულია მწყობრიდან, საჭიროებს აღდგენას.

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

820.0 ათასი ლარი

განხორციელდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებების შეძენა, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.

სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები

210.0 ათასი ლარი

განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა. საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა.

სოფლის მეურნეობის განვითარება

154.5 ათასი ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საექსპერტო მომსახურეობის ჩატარება და საპრივატიზებო საფასურის/სარგებლობის ქირის განსაზღვრას. ასევე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, რომელიც უზრუნველყოფს სახნავი ფართობების აგროვადებში დამუშავებასა და მოსავლის დროულ გატანას; სახნავი ფართობების შემოღობვას, რაც უზრუნველყოფს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისაგან სავარგულების დაცვას. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიმდებარე არხების გაწმენდა რეაბილიტაციას, რაც უზრუნველყოფს სახნავი ფართობების ჭარბი ტენისაგან და დაჭაობიანობებისაგან თავიდან აცილებას.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

3,484.6 ათასი ლარი

კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას. ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეთიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.

ხოლო ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება უზრუნველყოფს ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება. აგრეთვე, განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი

რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

განათლება

5,030.0 ათასი ლარი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 24 საბავშო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანება. სულ სკლომადელ დაწესებულებებში დასაქმებულია 325 თანამშრომელი, მათ შორის 65 აღმზრდელი და 68 თანაშემწე, ხოლო ირიცხება 1200 აღსაზრდელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

ასევე, განათლების პროგრამიდან განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და უცხო ენების შესწავლის ხელშეწყობა, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების სახელმწიფო ენის სწავლის ხელშეწყობა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში, სკოლისგარეშე არაფორმალური დამატებით განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

2,639.0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ამ მიზნით ფუნქციონირებს შემდეგი სპორტული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები:

ა(ა)იპ საცხენოსნო სპორტული კლუბი;

ა(ა)იპკომპლექსური სპორტული სკოლა;

ა(ა)იპ საფრენბურთო კლუბი ”ჯიკო ”;

ა(ა)იპ ხელბურთელთა კლუბი ”სამტრედია”;

შპს სპორტული კომპლექსი ”სამტრედია ”;

ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ფენიქსი“;

ა(ა)იპ საჭიდაო კლუბი " ფალავანი".

კულტურის განვითარების ხელშეწყობა

1,461.5ათასი ლარი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ დომენტი შანიძის სახელობისN 1 სახელოვნებო სკოლა
- ააიპ N2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა
- ააიპ გომის თემის სამუსიკო სკოლა
- ააიპ სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა
- ააიპ დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა
- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა.

სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებსა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო მოღვაწეობას, დასვენებასა და გართობას, ახალი თაობის აღზრდას

სახელოვნებო სფეროში; თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობას; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას;

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება კი აერთიანებს 10 ბიბლიოთეკას. იგი ორიენრიტებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურეობა საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.



იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს " სამტრედიის მაცნე " მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას. გაზეთი „სამტრედიის მაცნე“ ორიენტირებულია გამოხატოს საზოგადოებრივი ინტერესი, გააშუქოს საზოგადოების საჭირბოროტო საკითხები, იყოს ობიექტური და მკითხველამდე სწორად მიიტანოს არსებული მდგომარეობა.



საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე,

კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება

218.0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება

260.0 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

კულტურის დაწესებულებათა მშენებლობა-რეაბილიტაცია

150.0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერირორიაზე არსებული სოფლის კულტურის სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვა. ტერირორიაზე არსებული სოფლის კულტურის სახლების უმეტესი ნაწილი, რომლებიც დღეის მდგომარეობით გამოსულია მწობრიდან და არ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს, რეაბილიტაციის შემდეგ კულტურის სახლები დაიტვირთება სხვადასხვა წრეებითა და აქტივობებით, რითაც სოფლის მოსახლეობას გაუმჯობესდებათ პირობები.

ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

3,927.1 ათასი ლარი

ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი

განხორციელდება: ეპიდზედამხედველობა, იმუნიზაცია (სპეციფიური შრატებით და ვაქცინებით მძიმე სტრატეგიული მარაგების გამოყენება), ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

ასევე, განხორციელდება ქ. სამტრედიაში რესპუბლიკის ქუჩაზე „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" შენობის სამშენებლო სამუშაოების მრავალწლიანი შესყიდვა.

სოციალური დახმარების პროგრამა

- ა(ა)იპ „სახლი თანადგომა“

  - ✓ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რომლებსაც არ გააჩნიათ ფიზიკური შესაძლებლობა, არიან მარტოხელები, დავრდომილები, ინვალიდები, უსახლკარონი, ის პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან უმწეოთა კატეგორიას და არ გააჩნიათ ეკონომიკური შესაძლებლობა იმისთვის, რომ მთელი თვის განმავლობაში იკვებონ თავისი შემოსავლით, მათთვის ყოველდღიურად (გარდა კვირისა) სადილით უზრუნველყოფა (დღეში ერთხელ) უმწეოთა სასადილოში. ამ კატეგორიის მოქალაქეებზე გაიცემა 2-3 ცალი პური კვირაში ერთხელ. პური გაიცემა სულადობის მიხედვით.
  - ✓ ამ პროგრამის მოქმედებით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხვრებ უმწეოთა დიდი ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საარსებო საშუალებით. აგრეთვე, პროგრამაში ჩართულნი არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც ბინაზე მოემსახურებათ დავრდომილებსა და ღრმად მოხუცებულებს.

- ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ”სათნოების სახლი ”ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით მარტოხელა პენსიონერების დახმარება;

  - ✓ ქვეპროგრამის მიზანია მარტოხელა მიუსაფარ მოხუცებს ადგილებზე გაეწიოთ მზრუნველობა, კერძოდ, სხვადასხვა სახის აუცილებელი დახმარება, საყოფაცხოვებო-სოციალური პირობებით უზრუნველყოფა, დღე-ღამის განმავლობაში ოთხჯერადი კვება, შემოსვა, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მედპერსონალისა და სანიტართა სადღეღამისო მორიგეობა, მათი ინტერესების დაცვა და წარმოჩენა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მათი ჩაბმა საზოგადოებრივად აქტიურ საქმიანობაში. სათნოების სახლში ხშირად იმართება საქველმოქმედო ღონისძიებები. წოველ წელს მატულობს მნახველთა რაოდენობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მობინადრეთა ცხოვრებით და მათი ჯანმრთელობით.

- დედათა და ბავშვთა დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ახალშობილთა და მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (4 ან მეტი შვილი 18 წლამდე) ფინანსურ დახმარებას.

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება, რომელიც მოიცავს შემდეგ პროგრამებს: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება; მოქალაქეთა

სამედიცინო გამოკვლევის დაფინანსება; მარტოხელა მშობლების დახმარება; სტუდენტების დახმარება; უდედმამო ბავშვების დახმარება; ასი და მეტი წლის ასაკის უხუცეს დღეგრძელთა დახმარება; საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) სოციალური დახმარება; მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება; ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა ფინანსური დახმარება; დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების დახმარება; ლეიკემიით, ცერებლალური დამბლით, დაუნის სინდრომით, დიაბეტით და აუტიზმით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება; 2008 წლის აგვისტოს ომში გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ფინანსური დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარება; ერთჯერადი დახმარება განსაკუთრებულ შემთხვევაში; სოციალურად დაუცველი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება; 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შეაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე მომუშავე ორგანიზაციის ხელშეწყობა; სამკერვალო საწარმო „გვირილა“-ში დასაქმებულ შშმ ქალების დახმარება ტრანსპორტირების კუთხით; სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ღონისძიებების ხარჯები; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების, მრავალშვილიანების, შშმპ ღონისძიებების ტრანსპორტირების ხარჯები; სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ბინის ქირის გადასახადი; აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების რეაბილიტაცია; მოწყვლადი ოჯახების ფინანსური დახმარება; ახალდაქორწინებული ოჯახების წახალისება; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნენელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლო პირთათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა, უდედმამო ბავშვებისთვის, სოციალურად დაუცველი (შშმ პირებისთვის, ომის ვეტერანებისთვის, მრავალშვილიანებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის) და სხვა შეჭირვებული ოჯახებისთვის სააღდგომოდ და საახალწლოდ ერთჯერადი დახმარება, მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე მცირეწლოვან ბავშვთა და მოქალაქეთა მკურნალობის დაფინანსება და სხვა.

- დაკრძალვის ხარჯი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ა) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება; ბ) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა გარდაცვალების სარიტუალო მომსახურება; გ) მრავალშვილიანი სოციალურად დაუვცელი უკიდურესად შეჭირვებული ოჯახიდან გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურება.
- სამტრედიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეებიის დახმარება, რომელიც ითვალისწინებს მოწყვლადი ოჯახებისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას

ე.წ. „მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროექტის“ ფარგლებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლით.

სად შემიძლია გავარკვიო მეტი?

ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ბიუჯეტში აღწერილი ხარჯებისა და დაბეგვრის შესახებ მოკლე მიმოხილვა. თუ გსურთ გაიგოთ უფრო მეტი და დაწვრილებით, მაშინ ეწვიეთ ვებ – გვერდს http://samtredia.com.ge/